საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იორდასალამი

იორდასალამი

იორდასალამი (Paeonia), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების, იშვიათად ბუჩქების ან ბუჩქბალახების გვარი იორდასალმისებრთა ოჯახისა. აქვთ წითელი, ვარდისფერი ან, იშვიათად, მოყვითალო, მარტოული დიდი ყვავილები, ფოთლურა ნაყოფი. გვარში 35-მდე სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, ევროპაში, ჩრდ.დას. ამერიკასა და კავკასიაში.

საქართველოში გვხვდება 10 სახეობა, რ-თაგანაც 2 – ლაგოდეხის ი. (P. lagodechiana) და კავკასიის ი. (P. caucasica) – კავკასიის ენდემია, 7 კი – მაიკოს ი. (P. majko), ქართლის ი. (P. carthalinica), რუპრეხტის ი. (P. ruprechtiana), მლოკოსევიჩის ი. (P. mlokosewitschii), ვიტმანის ი. (P. wittmaniana), სტევენის ი. (P. steveniana), მსხვილფოთოლა ი. (P. macrophylla) – საქართველოს ენდემი.

სახეობათა უმრავლესობა მესამეული პერიოდის რელიქტია. ზოგიერთი მათგანი ფართოფოთლოვან რელიქტურ ტყეებში გვხვდება. მეტად ლამაზი დეკორ. მცენარეებია. მებაღეობაში უამრავი ჯიშია გამოყვანილი. ზოგ სახეობას ხალხურ მედიცინაში იყენებენ.

გ. ნახუცრიშვილი

ლ. ხინთიბიძე